საქართველოს მთავრობის განკარგულება

N340 2016 წლის 25 თებერვალი ქ. თბილისი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების თაობაზე

1. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების (შემდგომში – დებულება) 7^4 მუხლის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ დაფინანსების ფარგლებში, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი სამი თვის ვადით გათავისუფლდეს ამ განკარგულების დანართით განსაზღვრული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დანართით განსაზღვრული X და Y კოორდინატების ფარგლებში.

2. ლიცენზიისაგან გათავისუფლებული პირი – ზესტაფონის მუნიციპალიტეტი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი დასკვნებით (გეოსაინფორმაციო პაკეტები) განსაზღვრული პირობების შესრულება;

ბ) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული გამოიყენოს მხოლოდ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნისათვის;

გ) სოფელ არგვეთას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სამუშაოები აწარმოოს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

დ) დებულების 7^4 მუხლის 2^1 პუნქტის შესაბამისად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლებისათვის დადგინდეს განსხვავებული გადასხდელი თანხა წიაღით-სარგებლობისთვის გათვალისწინებულ 3 ობიექტზე (სოფ. რკვიას, სოფ. საზანოსა და სოფ. დიდი განთიადის მიმდებარე ტერიტორიებზე) და მუნიციპალიტეტმა ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შემდეგი ოდენობის თანხების გადახდა:

დ.ა) სოფ. არგვეთას მიმდებარე ტერიტორიაზე (მდ. ჩოლაბური) – 2000 $მ^3$ ქვიშა-ხრეშის მოპოვებისთვის – 348 (სამას ორმოცდარვა) ლარი;

დ.ბ) სოფ. ქვედა საზანოს მიმდებარე ტერიტორიაზე (მდ. ძუსა) – 800 $მ^3$ ქვიშა-ხრეშის მოპოვებისთვის – 139 (ას ოცდაცხრამეტი) ლარი;

დ.გ) სოფ. რკვიას მიმდებარე ტერიტორიაზე (მდ. ყვირილა) – 1500 $მ^3$ გამოფიტული გრანიტის (ღორღი) მოპოვებისთვის – 1500 (ათას ხუთასი) ლარი;

დ.დ) სოფ. საზანოს მიმდებარე ტერიტორიაზე (მდ. ძუსა) – 800 $მ^3$ კირქვის (ღორღი) მოპოვებისთვის – 800 (რვაასი) ლარი;

დ.ე) სოფ. დიდი განთიადის მიმდებარე ტერიტორიაზე (მდ. ძირულა) – 1000 $მ^3$ კირქვის (ღორღი) მოპოვებისთვის – 1000 (ათასი) ლარი.

3. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მიერ ლიცენზიისაგან გათავისუფლების საფუძველზე მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მიზნობრივად გამოყენების ზედამხედველობა განახორციელოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა (შემდგომში – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი).

4. ზესტაფონის მუნიციპალიტეტმა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ვადის გასვლიდან ორი კვირის ვადაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარადგინოს ინფორმაცია მოპოვებული ბუნებრივი რესურსის ოდენობის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

საქართველოს მთავრობის
2016 წლის 25 თებერვლის
№ 340 განკარგულების

დანართი:

1. სოფ. არგვეთას მიმდებარე ტერიტორია (მდ. ჩოლაბური) – 2000 მ³ ქვიშა-ხრეში:

№	X	Y
1	331866	4668545
2	331857	4668581
3	331900	4668598
4	331953	4668603
5	331964	4668568
6	331925	4668545
S = 0,47 ჰა		
WGS 1984.		

2. სოფ. რკვიას მიმდებარე ტერიტორია (მდ. ყვირილა) – 1500 მ³ გამოფიტული გრანიტი (ღორღი):

№	X	Y
1	347950	4676208
2	347935	4676220
3	347970	4676256

4	347988	4676243
S = 0,10 ჰა		
WGS 1984.		

3. სოფ. ქვედა საზანოს მიმდებარე ტერიტორია (მდ. ძუსა) – 800 მ³ ქვიშა-ხრეში:

№	X	Y
1	339554	4673607
2	339552	4673618
3	339562	4673620
4	339569	4673623
5	339571	4673628
6	339581	4673634
7	339582	4673639
8	339582	4673644
9	339586	4673649
10	339591	4673651
11	339599	4673636
12	339598	4673625
13	339595	4673618
14	339587	4673612
15	339571	4673608
S = 0,10 ჰა		
WGS 1984.		

4. სოფ. საზანოს მიმდებარე ტერიტორია (მდ. ძუსა) – 800 მ³ კირქვა (ღორღი):

№	X	Y
1	339866	4674482
2	339927	4674463
3	339927	4674385
4	339900	4674393
5	339912	4674447
6	339865	4674463
S = 0,24 ჰა		
WGS 1984.		

5. სოფ. დიდი განთიადის მიმდებარე ტერიტორია (მდ. ძირულა) – 1000 მ³ კირქვა (ღორღი):

№	X	Y
1	349893	4662701
2	349922	4662734
3	349987	4662682
4	349961	4662652
S = 0,35 ჰა		
WGS 1984.		